ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 28 იანვრის სხდომის

ოქმი #1

2021 წლის 28 იანვარს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს და დეპარტამენტების ხელმძღვანელების არჩევის შესახებ;
2. ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის შესახებ;
3. დეკანის 2020 წლის ანგარიში;
4. პერსონალის თვითშეფასების კითხვარის შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1) **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს და დეპარტამენტების ხელმძღვანელების არჩევის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, რომელიც საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ (იხ. დანართი 1). არჩევნების თარიღად განისაზღვრა 8 თებერვალი. ბატონმა რამაზმა ყურადღება გაამახვილა ცალკეულ დეპარტამენტებში არჩევნების ჩასატარებლად დროის სწორად შერჩევაზე. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დააგზავნის არჩევნების ჩატარების დეტალურ ინსტრუქციასაც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.დორეულმა, თ.კერესელიძემ, ბ.თუთბერიძემ, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანხმად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტის) საბჭოს არჩევნები.
2. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
   2.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 5
   2.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 5
   2.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 4
   2.4. ქიმიის დეპარტამენტი - 4
   2.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 5
   2.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი - 4
   2.7. გეოლოგიის დეპარტამენტი - 1
   2.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი -1.
3. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ჩატარდეს **2021 წლის 8 თებერვალს.**
   3.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-11 კორპუსის #421;
   3.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 08.02.2021, 13:00-15:00 სთ, მე-11 კორპუსის #204;
   3.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 08.02.2021, 14:00-16:00 სთ, მე-2 კორპუსის #227;
   3.4. ქიმიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-2 კორპუსის #202;
   3.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-11 კორპუსის #466ა;
   3.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 14:00-16:00 სთ, მე-2 კორპუსის #220;
   3.7. გეოლოგიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 11:00-13:00 სთ, მე-11 კორპუსის #422;
   3.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 11:00-13:00 სთ, მე-2 კორპუსის #208.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღება საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით მოხდეს **2021 წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლის 18 სთ-მდე** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე shorena.chubinidze@tsu.ge.
5. ერთზე მეტ დეპარტამენტში გაერთიანებული კათედრის აკადემიური პერსონალის განცხადების მიღება არჩევნებში, როგორც ამომრჩევლის, ისევე როგორც ასარჩევი პირის მონაწილეობს შესახებ მხოლოდ ერთი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში მოხდეს **2021 წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლის 18 სთ-მდე** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე shorena.chubinidze@tsu.ge.

2) მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის შესახებ. პროგრამა წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 2). პროგრამა ინტერდისციპლინურია. როგორც ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, პროგრამის შესახებ მსჯელობა იყო ფიზიკისა და ბიოლოგიის დეპარტამენტებში და პროგრამულმა კომიტეტმაც დაამტკიცა. შემდეგ ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს სთხოვა აზრის გამოთქმა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ბ.თუთბერიძემ. იგი დაინტერესდა პროგრამის გავლის მერე მისანიჭებელი კვალიფიკაციით, რაზეც განმარტება გააკეთა პროფესორმა ნ.შათაშვილმა. ბატონმა ბეჟანმა ასევე ისაუბრა პროგრამაში ქიმიის საგნების ჩართვის მიზანშეწონილობაზე. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ნ.დორეულმა,

მ.ხაჩიძემ. ქალბატონმა დიანამ გააკეთა რამოდენიმე აუცილებელი განმარტება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებები გააკეთა ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი ბიოფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების საკითხი, ამასთან მადლობა გადაუხადა ყველა იმ თანამშრომელს ფიზიკისა და ბიოლოგიის დეპარტამენტებიდან, რომელიც ჩართული იყო პროგრამის მომზადებაში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს რეაკრედიტაციაზე წარდგენილი ბიოფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2).

3) მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – დეკანის 2020 წლის ანგარიში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. დეკანის ანგარიშში ასახული იყო ფაკულტეტის დებულების მიხედვით დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობები და გასულ წელს გაწეული შესაბამისი სამუშაოები. ანგარიში წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, ო.ფურთუხიამ, დ.ძიძიგურმა, ო.მუკბანიანმა, ლ.მაჭავარიანმა. მათ მადლიერებით აღნიშნეს გასული წლის განმავლობაში დეკანის ძალისხმევის შედეგად არაერთი მოგვარებული პრობლემისა და განახლებული ინფრასტრუქტურის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დეკანის 2020 წლის მუშაობის ანგარიშის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის მუშაობის ანგარიში (იხ. დანართი 3).

4) მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – პერსონალის თვითშეფასების კითხვარის შესახებ. საკითხი წარადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ხომერიკმა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა, მ.ხაჩიძემ, ნ.დორეულმა, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პერსონალის თვითშეფასების კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის თვითშეფასების კითხვარი.

5) **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხი. აქ განხილული იყო "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას სადისერტაციო ნაშრომის თემის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული იყო გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ლ.მაჭავარიანის განცხადება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა, ზ.სეფერთელაძემ, ბ.თუთბერიძემ, დ.ძიძიგურმა. მათ აზრი გამოთქვეს ხელმძღვანელთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობაზე. დამატებითი განმარტება გააკეთა პროფესორმა ლ.მაჭავარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას სადისერტაციო ნაშრომის თემის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: დამტკიცდეს "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას სადისერტაციო ნაშრომის თემის სათაური და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

<u>სადისერტაციო თემა</u> - "ცენტრალური კავკასიონის სუბნივალურ-ნივალური ნანოცენოზების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია და სივრცითი ტრანსფორმაცია";

<u>სამეცნიერო ხელმძღვანელები</u>:

- ლია მაჭავარიანი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- ოთარ აბდალაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი, მაღალმთის ეკოსისტემების კვლევის პროგრამის დირექტორი;
- ზაალ კიკვიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი, ეთნო-ბიოლოგიისა და სოციო-ეკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი